



**გენდერული უთანასწორობა საქართველოს პარლამენტში:  
მხოლოდ 27 ქალი დეპუტატი 139 წევრიდან**

**პოლიტიკის დოკუმენტი**

**ავტორი: მარიამ კუკავა**

**2024**

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ „საჯარო პოლიტიკის საპილოტე ინიციატივები ახალგაზრდების ჩართულობისა და მენტორობის გაძლიერებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (CSD). მოცემული პუბლიკაციის შინაარსი წარმოადგენს მხოლოდ ავტორების პასუხისმგებლობას და შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და CSD-ის შეხედულებებს.

## რეზიუმე

სტატისტიკური მონაცემების თანახმად საქართველოს მოსახლეობის 52 % არის ქალი, მაგრამ მიუხედავად მათი სიმრავლისა, ქალების ხმა და წარმომადგენლობა ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში გაცილებით ნაკლებია, ვინაიდან 139 დეპუტატიდან არის მხოლოდ 27 ქალი წარმომადგენელი და ეს რა თქმა უნდა არის პრობლემა, რადგან მათ არ აქვთ საშუალება სრულყოფილად და თანაბრად ჩაერთონ პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, ეს კი იწვევს გენდერული ბალანსის დარღვევასა და დისკრიმინაციას ქვეყანაში.

ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარება შესაძლებელია გენდერული ბალანსის გათანაბრებით პარლამენტში, კერძოდ ქალი პარლამენტარების რაოდენობის გაზრდით. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის კონსტიტუცია ქალთა მიმართ არ არის დისკრიმინაციული, გარდა ამისა საქართველოს ხელი მოწერილი აქვს არაერთ რეზოლუციაზე თუ საერთაშორისო პაქტზე ქალთა გაძლიერების კუთხითა თუ გენდერული თანასწორობის კონტექსტში, მხოლოდ კანონთა არსებობა არ არის საკმარისი თუ არ იქნება შესაბამისი მენისტრიმინგი და ბერკეტი გენდერული თანასწორობის მისაღწევად, ვინაიდან ღრმად პატრიარქალური სტერეოტიპული დამოკიდებულებები საქართველოში ქალთა მიმართ არის მნიშვნელოვანი ბარიერი გენდერის ამ სქესისთვის ჩაერთონ პოლიტიკაში, იყვნენ გაცილებით აქტიურები და პოლიტიკის შემქმნელები ქვეყანაში.

საქართველოს პარლამენტში ქალთა გაძლიერების კუთხით მიღებულ იქნა სავალდებულო კვოტირების კანონი, რომელმაც 2021 წლის არჩევნებში მკვეთრად გაზარდა ქალების რაოდენობა ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში წინა წლებთან შედარებით, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს მექანიზმი გაქუმებულ იქნა 2024 წელს მმართველი გუნდის მიერ.

გენდერული უთანასწორობა საქართველოს პარლამენტში არამარტო იწვევს ქალთა დისკრიმინაციას, არამედ ხელს უშლის ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას და მის ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს, გარდა ამისა უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზეც.

მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში კუთვნილ ადგილს ქალებმა მთელი რიგი გამოწვევების გადალახვით მიაღწიეს. ოდითგანვე პოლიტიკაში ის, რაც კაცებისთვის თავისთავადი უფლება იყო, ქალებისთვის მუდმივად მოსაპოვებელი/მისაღწევი ხდებოდა. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ქალებისთვის საარჩევნო ხმის უფლება, რომელიც მე-19 საუკუნეში ევროპაში დაწყებული სუფრაჟისტული მოძრაობის ბრძოლის შედეგი იყო. მართალია საქართველოში ქალებმა არჩევნებში ხმის მიცემის უფლება (1919 წელი) ზოგიერთ განვითარებულ ევროპულ ქვეყანაზე ადრე მოიპოვეს, როგორცაა მაგალითად შვეიცარია (1971 წელი),<sup>1</sup> მაგრამ წარსულის ეს დადებითი ისტორიული გამოცდილება არ აღმოჩნდა გარანტი აწმყოსთვის, ვინაიდან დღეს ქვეყნის პარლამენტში, სადაც ხდება პოლიტიკის ფორმირება და კურსის განსაზღვრა, მართალია ქალებს აქვთ ხმის მიცემის, თავიანთი სასურველი კანდიდატის არჩევისა და საკანონმდებლო ორგანოში წარმომადგენლობის უფლება, მაგრამ პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესში მათი მონაწილეობა მაინც დაბალ დონეზეა და გენდერული ბალანსი არ არის დაცული ვინაიდან 139 დეპუტატიდან, მხოლოდ 27 არის ქალი.<sup>2</sup>

„ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“<sup>3</sup> ეს არის ციტატა საქართველოს კონსტიტუციიდან (მუხლი 11. თანასწორობის უფლება), რომელიც გამორიცხავს გენდერული ნიშნით რაიმე ტიპის დისკრიმინაციულ განსხვავებას ქალსა და კაცს შორის, აყენებს მათ თანაბარ მდგომარეობაში და აძლევს იდენტურ შესაძლებლობებს, რაც ქვეყნის მართვის თანასწორ უფლებაშიც გამოიხატება. მაგრამ მიუხედავად გარანტიებისა საკონსტიტუციო დონეზე, ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში ქალების წარმომადგენლობა მაინც გაცილებით ნაკლებია (5-ჯერ), ვიდრე კაცების და ეს ნიშნავს გენდერული ბალანსის დარღვევას. ერთი შეხედვით რაოდენობრივი სხვაობა არ უნდა მიიჩნეოდეს გამოწვევად და „ჩავარდნად“ საპარლამენტო საქმიანობაში და შესაბამისად ქვეყნის მართვაში, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში თუ მონაცემები მხოლოდ ციფრების დონეზე იქნება აღქმული, სხვაგვარად კი თუ შინაარსს გავაანალიზებთ, მაშინ ადვილად მივხვდებით, რომ გენდერული უთანასწორობა საქართველოს პარლამენტში: მხოლოდ 27 ქალი, 139 დეპუტატიდან ეს არის პრობლემა, რომელიც მიზეზია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე, არაერთი გამოწვევის, როგორცაა:

**დემოკრატიის დაბალი ხარისხი** : დემოკრატიული სახელმწიფოს იდეა ემყარება ორ ძირითადად პრინციპს ესაა: ადამიანის უფლებები და თანასწორობა. 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლის მიხედვით: „ყველას აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს თავისი ქვეყნის მართვა-გამგეობაში უშუალოდ ან მის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენელთა მეშვეობით; ყველას აქვს უფლება თანაბარ საფუძველზე შევიდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო სამსახურში.“ ეს ყოველივე ნიშნავს, რომ ქალების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში არის მათი უფლება და დემოკრატიული სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ეს პრინციპი.<sup>4</sup> მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ადამიანის უფლებების დაცვა და თანასწორობა ქვეყნის მართვაში ვერ იქნება უზრუნველყოფილი, მაშინ როდესაც საქსტატის 2024 წლის 1 იანვრის მონაცემებით საქართველოში მოსახლეობის 48 პროცენტი კაცებზე მოდის, ხოლო 52 პროცენტი კი ქალია<sup>5</sup> და ამ დროს პარლამენტში 5-ჯერ ნაკლები ქალი დეპუტატი იღებს გადაწყვეტილებას. აღნიშნული გარემოება აგრეთვე ხელს უშლის რომ ამომრჩეველთა ხმა პროპორციულად და სეგმენტურად იყოს წარმოდგენილი პოლიტიკაში, ვინაიდან ამომრჩევლის სხვადასხვა ჯგუფს აქვს ერთმანეთისგან განსხვავებული საჭიროებები.<sup>4</sup>

ეს უკანასკნელი ცნობილია ე.წ „განსხვავებულ ინტერესთა არგუმენტის“ სახელით, რომელიც გულისხმობს შემდეგს, რომ ორ სხვადასხვა სქესს აქვს სპეციფიკური გემოვნება და ინტერესები და შეუძლებელია მხოლოდ მამაკაცებმა ადვოკატირება გაუწიონ ქალების საჭიროებებს,<sup>10</sup> მათი ჩართულობის გარეშე. ეს კი დემოკრატიზაციას უქმნის საფრთხეს, ხოლო დემოკრატია კი გენდერული თანასწორობის მიღმა შეუძლებელია მიღწეულ იქნას.

**მასკულინური პოლიტიკა-** გაეროს 1325-ე რეზოლუციის თანახმად საჭიროა ქალების მინიმუმ 30%-იანი წარმომადგენლობა პარლამენტში, რათა შეძლონ გავლენის მოხდენა საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე.<sup>4</sup> ამ მხრივ მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებით პარლამენტში დეპუტატ ქალთა რაოდენობით საქართველო 193 ქვეყანას შორის 124-ე ადგილს იკავებს 19.3 პროცენტის მაჩვენებლით და გარდა ევროპის ქვეყნებისა, ასევე ჩამორჩება მეზობელ სომხეთს (42-ე ადგილი) და თურქეთსაც (120-ე ადგილი),<sup>6</sup>

**ეკონომიკური განვითარების შეფერხება-** თანამედროვე მეცნიერებაში ყოველდღიურად მყარდება მოსაზრება სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების თანამედროვე მეცნიერებაში ყოველდღიურად მყარდება მოსაზრება სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, რომ გენდერული თობა არის ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი. მიჩნეულია, რომ ქალების სრული ჩართვა, როგორც სამუშაო ძალის და მათი გათანაბრება მამაკაცებთან (რომლებიც 30 % -ით მეტად არიან წარმოდგენილნი გლობალურად) მსოფლიოში მშპ-ს გაზრდის 20 %-ით. ამ მხრივ საყურადღებოა ასევე WBL ინდექსის მონაცემებიც, რომელიც ზომავს ქალებისთვის ეკონომიკური შესაძლებლობების იურიდიულ თანასწორობას, სადაც 100 ქულა ნიშნავს უმაღლეს შეფასებას. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ლიდერობენ ის ქვეყნები (სულ 14 ქვეყანას), რომლებიც მოწინავე და განვითარებული სახელმწიფოები არიან, როგორცაა: ბელგია, კანადა, დანია, ლატვია, ნიდერლანდები, პორტუგალია, ესპანეთი. უფრო მეტიც WBL ქულა იზრდება იმ ქვეყნებში, სადაც ქალების წარმომადგენლობა მზარდია პოლიტიკურ თანამდებობებზე. მიჩნეულია რომ ქვეყნებში, სადაც მეტი ქალი პოლიტიკოსია ლიდერი, იღებენ ისეთ კანონებს, რომელიც უზრუნველყოფს გაცილებით მეტ თანასწორობას საზოგადოებაში. ამიტომ გასაკვირი არ არის რომ WBL-ის საშუალო ქულა იმ ქვეყნებისთვის, რომელთაც ჰყავთ 50 % ან მეტი პარლამენტარი ქალი 10 პროცენტული პუნქტით აღემატება იმ ქვეყნებს, რომელთაც არ აქვთ მსგავსი მდგომარეობა. საბოლოო ჯამში დგინდება, რომ WBL-ის მაღალი ინდექსი ნათლად მიუთითებს ძლიერ დადებით კორელაციაზე ქალების პოლიტიკურ წარმომადგენლობასა და ეკონომიკური შესაძლებლობების იურიდიულ თანასწორობას შორის. მაგრამ ამ მხრივ საქართველოში განსხვავებული მდგომარეობაა. კერძოდ, 2023 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გენდერული სხვაობის ანგარიშის მიხედვით, რომელიც ზომავს ყოველწლიურად 146 ქვეყანაში 4 კრიტერიუმს: ჯანმრთელობას, ეკონომიკას, განათლებასა და პოლიტიკას, საქართველო იკავებს 76-ე ადგილს.<sup>9</sup> გასაკვირიც არ არის, ვინაიდან ქალისა და კაცის სამუშაო ანაზღაურებას შორის დისკრიმინაციული განსხვავება საფუძველი ხდება ქალები სრულყოფილად ვერ იყვნენ დასაქმებულები, ვინაიდან ხშირად უწევთ საოჯახო საქმიანობის გამო ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, ან კიდევ ის ქალები, რომლებიც სრულ განაკვეთზე არიან დასაქმებულები, კაცებთან შედარებით უფრო დაბალ ანაზღაურებას იღებენ. მეტი თვალსაჩინოებისთვის საქსტატის მონაცემებით 2022 წლის 1 კვარტალში ქალების საშუალო ხელფასი შეადგენდა 1184 ლარს, ხოლო კაცების 1695 ლარს. ეს არის ერთ-ერთი მაგალითი ქართული შრომის კოდექსში არსებული გამოწვევებისა. კრიტიკული მასის არგუმენტის მიხედვით, გენდერისა და პოლიტიკის მკვლევრების მტკიცებით მხოლოდ ქალთა რაოდენობის გაზრდით საკანონმდებლო ორგანოებში შესაძლებელია პოლიტიკის ცვლილება ამ სქესის სასარგებლოდ.<sup>7</sup> ამგვარი უთანასწორო მიდგომა კი არის ერთ-ერთი საფუძველი ქალთა ეკონომიკური სიდუხჭირის, რომელიც ქვეყნის ნახევარზე მეტს შეადგენს. და

ბოლოს აქ ისმის კითხვა თუ ქვეყნის ნახევარზე მეტს ქალები შეადგენენ და მათი სამუშაო პირობები და ანაზღაურება არ არის დანარჩენი, ნახევარზე ნაკლები (მამაკაცები) მოსახლეობისა, როგორ შეიძლება განვითარდეს ქვეყანა ეკონომიკურად?! გარდა ამისა საყურადღებოა Global Gender Gap-ში STEM-ის (მეცნიერება, ტექნოლოგია, ინჟინერია, მათემატიკა) სტატისტიკური მონაცემებიც, სადაც ამ მიმართულებით დასაქმებულთა ქალთა მასური წილი საკმაოდ მაღალია და 37.2 %-ს შეადგენს ეს ყოველივე ნიშნავს შემდეგს, რომ ქალები აწყდებიან არამართო ბარიერს ამ სფეროში დასაქმების კუთხით, არამედ მათი ხელფასებიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მამაკაცებისგან.<sup>22</sup>

## ქალები პოლიტიკაში და ბარიერები

გენდერული უთანასწორობა საქართველოს პარლამენტში განპირობებულია რამდენიმე ფაქტორითა და ბარიერით, რომელთაც აწყდებიან ქალები პოლიტიკაში თავის დამკვიდრების დროს.

**გენდერული სტერეოტიპები და სექსიზმი-** ერთ-ერთ საკმაოდ ფესვგადგმულ ბარიერს წარმოადგენს სტერეოტიპული დამოკიდებულება ქალი ლიდერების მიმართ. მართალია მსგავსი ტიპის მიდგომა ნელ-ნელა პოზიტიურად იცვლება, მაგრამ სექსისტური განწყობები კვლავ არსებობს საზოგადოებაში. საქმე ისაა, რომ გაეროს განვითარების პროგრამის კვლევის თანახმად (2020 წელი) გამოკითხულთა 60 %, მათ შორის ქალების 72% ფიქრობს, რომ მეტი ქალის ჩართულობა პოლიტიკაში ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება, მაგრამ რესპონდენტების ნახევარს მაინც სჯერა, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან. ასევე გამოკითხულთა დაახლოებით ყოველი მეორე რესპონდენტი ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ პოლიტიკა კაცის საქმე უფრო არის, ვიდრე ქალის.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ბოლო წლებში ტენდენცია შეიცვალა და ქალების მონაწილეობა პოლიტიკაში უფრო დადებითად ფასდება. მაგალითისთვის 2013 წელს გამოკითხულთა 61% ფიქრობდა, რომ კაცები უკეთესი პოლიტიკური ლიდერები არიან, ხოლო 2019 წელს კი ეს მაჩვენებელი 49%-მდე შემცირდა. მაგრამ მეტი სიზუსტისთვის, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს განსხვავება ძირითადად ქალების შეხედულებების შეცვლამ გამოიწვია. 2013 წელს, ქალების 56% და კაცების 69% ფიქრობდა, რომ კაცები პოლიტიკაში უფრო ძლიერები არიან. 2019 წლის მონაცემებით კი ამ აზრს იზიარებდა ქალების 37% და კაცების 62%. აქედან დასკვნა ის არის, რომ ქალების შეხედულებამ განიცადა პროგრესი 17%-ით, ხოლო კაცებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 7%-ით შემოიფარგლა. გარდა ამისა, 2013 წელს გამოკითხულთა 66% (ქალების 56% და კაცების 77%) ფიქრობდა, რომ პოლიტიკა უფრო მამაკაცების სფეროა. 2019 წელს ეს მაჩვენებელი 52%-მდე შემცირდა, სადაც 42% ქალი და 63% კაცია.<sup>11</sup> აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს ფაქტს, რომ მამაკაცებში სექსისტური დამოკიდებულება იცვლება დადებითად, მაგრამ ეს ტენდენცია ჯერ კიდევ არსებობს და საკმაოდ რთულად პროგრესირებს.

სექსისტური დამოკიდებულება ქალი პოლიტიკოსების მიმართ არამარტო სამოქალაქო საზოგადოებში, არამედ პოლიტიკოს მამაკაცებშიც გავრცელებულია. „მე ახლა ქალთან პოლემიკაში ვერ შევალ, ასეთია წესი“- 2023 წლის 21 სექტემბერს მიმართა ჟურნალისტებთან საუბარში „ქართული ოცნების“ მაშინდელმა თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატს ანა წითლიძეს, რომელმაც თავის ოპონენტს რუსი ჯაშუში და მშობარა უწოდა.<sup>12</sup>

სექსისტურ დამოკიდებულებებში განსაკუთრებით ძლიერად არის გამოხატული სიძულვილის ენა, რომელსაც საფუძვლად უდევს სტერეოტიპული განწყობები საპირისპირო სქესის მიმართ. ქალი პოლიტიკოსების გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ფორმები: „სლათ შეიმინგი“ (ბოზობით შერცხვენა), ამის ნათელი მაგალითია ე.წ „მიმას ქალები“; სექსუალური შინაარსის ფოტოების გავრცელება (ამასთან დაკავშირებით ძალზე განმარტებული ფაქტი იყო, 2019 წლის იანვარში ეკა ბესელიას პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები),<sup>13</sup> სხეულით შერცხვენა, როგორცაა ხმის ტემბრსა და ემოციურ საუბრის მანერაზე ხაზგასმა, რომელიც ხშირად შემდეგი ტიპის სახელებით შემკობას ითვალისწინებს, როგორცაა: „წიკინებს“, „წივის“ და ა.შ. ხშირია ე.წ „დანებების წახალისების“ მეთოდის გამოყენება, რომლის ინდიკატორს წარმოადგენს ნებისმიერი ფორმით ქალ პოლიტიკოსისთვის იმის თქმა, რომ ქალების ადგილი არ არის პოლიტიკაში. აღნიშნული მიდგომები გავრცელებულია თითქმის მთელს მსოფლიოში, მაგრამ საქართველოში იკვეთება აგრეთვე საკუთრივ ჩვენი ქვეყნისთვის დამახასიათებელი რამდენიმე სტილიც, როგორცაა „საყვედური ოჯახსა და დედობაზე“, ეს ითვალისწინებს ისეთი ტიპის კრიტიკას, როგორცაა: მხოლოდ ერთი შვილი რატომ ჰყავს ქალ პოლიტიკოსს, ან კიდევ იმ შემთხვევაში თუ მათი შვილები ცუდად იქცვიან ყველაფერი ქალ პოლიტიკოსს ბრალდება. ასევე ხშირია პოლიტიკოსი ქალების, როგორც „კაცის დანამატად“ წარმოჩენა, რომ ის თავისით კი არ მიაღწევდა წარმატებას (ე.წ „პატრონის თემა“), ან კიდევ პოლიტიკის გამო კი არ მოვიდა, არამედ ქმრის ინტერესებისთვის. ამის ნათელი მაგალითი იყო თინა ბოკუჩავას შემთხვევა წარმოჩენა, რომ ის თავისით კი არ მიაღწევდა წარმატებას (ე.წ „პატრონის თემა“), ან კიდევ პოლიტიკის გამო კი არ მოვიდა, არამედ ქმრის ინტერესებისთვის. ამის ნათელი მაგალითი იყო თინა ბოკუჩავას შემთხვევა. ქართულ სივრცეში სექსიზმის ნათელი გამოხატულება საპირისპირო სქესის გამოცდილებისა და კომპეტენციის ნაკლებობაზე ხაზგასმა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ორ კომპონენტს უფრო ხშირად კაცებთან დაკავშირებით იყენებენ დადებითად, ვიდრე ქალებზე.<sup>14</sup>

**ოჯახური საქმიანობის ტვირთი-** ოჯახური ვალდებულებები არის ის ერთ-ერთი ბარიერი, რის გამოც ქალების პოლიტიკაში ჩაბმა „ფუფუნებად“ აღიქმება. „ქალები, რომლებიც ერთდროულად ბევრი რამის კეთებას ახერხებენ, ძლიერი პიროვნებები არიან: მათ ჰყავთ ოჯახები, ზრუნავენ შვილებზე და სამუშაოზე, მაგრამ ასეთი ცოტაა. ასეთი ქალები ყოველთვის ლიდერები არიან, მაგრამ ყველას არ შეუძლია თავის გამოჩენა, ამიტომ არიან ასე ცოტა“ (ქალების ფოკუსჯგუფი, ზუგდიდი).“<sup>11</sup>

**ქალთა მიმართ ძალადობა პოლიტიკაში** - ეს არის ნებისმიერი ძალადობა ან ძალადობის მუქარა ქალებზე გენდერული ნიშნით, რომლის მიზანია დააბრკოლოს ქალების მოღვაწეობა პოლიტიკაში. აქ არ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკურად თავდასხმა, არამედ მოაზრებულია ნებისმიერი ნიშნით საზიანო ქმედება ქალების მიმართ, რომლებიც ცდილობენ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში. ძალადობაში გამოიყოფა 4 ძირითადი ტიპი, როგორცაა: 1. ფიზიკური, მაგალითისთვის დაპატიმრება, ცემა, თავდასხმა, მკვლელობა. 2. ფსიქოლოგიური- მუქარა, დაშინება, აღევნება, ჭორების გავრცელება, ბულინგი, ონლაინ შეურაცხყოფა-ტროლინგი. 3. სექსუალური- გაუპატიურება, სექსუალური თავდასხმა, სექსუალური მუქარა ან კიდევ შანტაჟი. 4. ეკონომიკური- ხელფასზე, ჯანდაცვის სერვისებზე, ბავშვზე ზრუნვის სერვისებზე, კამპანიისთვის საჭირო ან სხვა რესურსების გამოყოფაზე უარი, დაფინანსებაზე, ან ფინანსურ მხარდაჭერაზე უარის თქმა და ა.შ.<sup>16</sup>

## საკანონმდებლო ჩარჩოს მიმოხილვა

საქართველოს მთავრობებმა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე მიიღო არაერთი კანონი, რეზოლუცია და შეუერთდა საერთაშორისო პაქტს, რომელთა მიზანი ქალთა გენდერული გაძლიერება იყო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გენდერულ გამოწვევებთან ბრძოლამ ასახვა პოვა ქვეყნის კონსტიტუციაშიც და შედეგად ჩაიწერა არაერთი მუხლი, რათა მომხდარიყო სქესობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრა ყველა სფეროში, მათ შორის პოლიტიკაშიც. მაგრამ მიუხედავად არაერთი მცდელობისა დღეს, 2024 წელსაც ქვეყანა დგას არერთი გამოწვევის წინაშე, როგორცაა ქალისა და მამაკაცის ხელფასებს შორის განსხვავება, ქალთა ნაკლები წარმომადგენლობა პარლამენტში და არამარტო, მათ შორის ადგილი აქვს გენდერული ნიშნით ძალადობის არაერთ ფაქტს. მაგრამ როგორც ჩანს გენდერული მეინსტრიმინგი, რომელიც გულისხმობს ქალებისა და კაცების თანასწორობისთვის სახელმწიფოს მხრიდან მათ მხარდაჭერას, რესურსებზე ხელმისაწვდომობასა და გადაწვეტილების მიღების პროცესში თანაბარი უფლებებისა და რაც მთავარია შესაძლებლობების ქონას,<sup>17</sup> ამ მხრივ საქართველოსთვის ეს ჯერ კიდევ გამოწვევაა, ვინაიდან ქვეყნის მთავარ საკანონმდებლო ორგანოში ქალების 5-ჯერ ნაკლები წარმომადგენლობა ვერ უზრუნველყოფს სქესთა შორის იდენტურ თანაბარუფლებიანობას.

გენდერული თანასწორობის მისაღწევად საქართველოში შექმნილია არაერთი სახელმწიფო ინსტიტუტი, როგორცაა : ეროვნულ დონეზე საქართველოს პარლამენტში გენდერული თანასწორობის საბჭო; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ უწყებათაშორისი კომისია; სახალხო დამცველის გენდერის დეპარტამენტი, ხოლო რეგიონალურ დონეზე მოქმედებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალური საბჭოები, აგრეთვე მერიაში არის გენდერული თანასწორობის საკითხზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე. მიუხედავად მთელი ქვეყნის მასშტაბით ინსტიტუციური ერთეულების შექმნის მცდელობისა, კანონით კვლავ არ არის გათვალისწინებული კონკრეტული ნაბიჯები, რომ განხორციელდეს გენდერული პოლიტიკის მხარდაჭერა, როგორც ლოკალურ, ასევე ეროვნულ დონეზე. ეს ბუნდოვანება კი ხელს უშლის გენდერული მეინსტრიმინგის ჯეროვნად განხორციელებას.<sup>18</sup> მაგალითისთვის, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია საერთაშორისო გამჭვირვალობის 2023 წლის შეფასებაში ვკითხულობთ გენდერული თანასწორობის საბჭოს ზედამხედველობა ადმინისტრაციული ხელისუფლების შტოზე სუსტია, ვინაიდან მთავრობა არ წარუდგენს დადგენილ ვადაში ანგარიშებს, ხოლო საბჭო ანგარიშების მოსმენის შემდეგ არ გასცემს რეკომენდაციებს.<sup>19</sup>



საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სწრაფად გახდა საერთაშორისო სისტემის ნაწილი, როგორც იყო გაერო და შეუერთდა სხვადასხვა რეზოლუციებსა თუ პაქტებს. ქვეყანაში გენდერული თანასწორობის მიღწევის კუთხით მნიშვნელოვანი იყო შემდეგი დოკუმენტების ხელმოწერა, როგორცაა: 1. „კონვენცია ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“- სადაც ნათლად არის ხაზგასმული, რომ ქალები უნდა მონაწილეობდნენ არამარტო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, არამედ მათ განხორციელებაში და ასევე აუცილებელია სამთავრობო პოსტებიდან მართონ და შეასრულონ სახელმწიფო ფუნქციები. 2. „გაეროს პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ“- ეს უკანასკნელი ავალდებულებს ხელისმომწერ ქვეყნებს უზრუნველყონ გენდერული თანაბარი უფლებები ყველასთვის, რომელიც მოიზარებს, როგორც მოქალაქეობრივ, ასევე პოლიტიკურ შესაძლებლობებს. 3. „ გაეროს რეზოლუცია 1325“- იგივე „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“, რეზოლუციის მიზანია ქალების მეტი ცართლობა სამშვიდობო პროცესებში. 4. „პეკინის სამოქმედო პლატფორმა“- ითავლისწინებს და აძლევს წევრ სახელმწიფოებს სამოქმედო გეგმას, თუ როგორ უნდა იქნას მიღწეული ქალების მეტი ჩართულობა პოლიტიკაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სწორედ ამ კონფერენციაში მონაწილეობის შემდეგ დაიწყო საქართველომ აქტიური მიუშაობა ქალთა უფლებებზე. 5. „ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება“- 2014 წელს ხელმოწერილი ეს ხელშეკრულება, რომელმაც მოქმედება დაიწყო 2016 წლიდან, მნიშვნელოვნად ავალდებულებს საქართველოს გენდერული თანასწორობისა და დემოკრატიის კუთხით, გააძლიეროს და დაიცვას ქალსა და მამაკაცს შორის თანაბარუფლებიანობა და დაახლოვოს ქვეყნის კანონმდებლობა ევროკავშირის სტანდარტებთან.<sup>20</sup>

რაც შეეხება ეროვნულ დონეზე მიღებულ კანონებს, საქართველოს მთავრობებმა ამ კუთხით შეიმუშავეს და ჩაწერეს კონსტიტუციაში არაერთი მუხლი გენდერული თანასწორობის მისაღწევად, როგორცაა 2010 წელს მიღებული კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლში თანასწორი საარჩევნო უფლებების გარანტიების შესახებ, იკითხება შემდეგი: „ქალები და კაცები შეიძლება არჩეულ იქნან თანასწორი პირობებით, დისკრიმინაციის გარეშე“.<sup>21</sup> მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2014 წელს მიღებული კანონით „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“. ეს უკანასკნელი არის თანასწორობის მიღწევის ძირითადი ნორმატიული ჩარჩო, მაგრამ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით პრობლემები კვლავ გამოწვევად რჩება, ვინაიდან მაგალითად სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით 2020 წელს 113 დისკრიმინაციული ფაქტიდან 66 % შემთხვევა საჯარო უწყებებში ჩაღვნილ ფაქტებს შეეხებოდა.<sup>22</sup>

ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე დგინდება, რომ გენდერული უთანასწორობა პარლამენტში: მხოლოდ 27 ქალი დეპუტატი 139 წევრიდან ნამდვილად პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის განვითარებისთვის, ვინაიდან:

- დემოკრატიის ფუნდამენტი არის თანასწორობა და თანაბარუფლებიანობა. ეს საფუძველი არ არსებობს ქართულ პარლამენტში, რადგან ქალებს აქვთ მინიმუმ 5-ჯერ ნაკლები უფლება, ვიდრე კაცებს საკანონმდებლო ორგანოში მათი რაოდენობიდან გამომდინარე. „განსხვავებულ ინტერესთა არგუმენტის“ მტკიცებით მხოლოდ
- კაცები ვერ მოახდენენ საპირისპირო სქესის ინტერესების ლობირებას, ვინაიდან სხვადასხვა გენდერს აქვს თავისთვის დამახასიათებელი სპეციფიური საჭიროებები. ამიტომ ქალების რაოდენობა ვინაიდან გაცილებით ნაკლებია, ვიდრე კაცების, შესაბამისად საპირისპირო სქესის მოთხოვნების ადვოკატირება ფაქტობრივად შეუძლებელია. ამის ერთ-ერთ ნათელ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ შრომის კოდექსში არსებული ხარვეზები, როგორცაა გენდერული ნიშნით სახელფასო სხვაობა. ეს უკანასკნელი არ ითავლისწინებს დისკრიმინაციულ მიდგომას ქალი დასაქმებულების მიმართ, მაგრამ ის სხვაობა, რაც არის შრომის ბაზარზე ფაქტია რომ პრობლემა და კოდექსი შესაბამისად ვერ არეგულირებს.


- სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე დადასტურდა, რომ სახელმწიფოებში, სადაც მეტი ქალი პოლიტიკოსია პარლამენტში, მიიღება ისეთი კანონები, რომლებიც მეტი დემოკრატიის გარანტია და ამ ქვეყნების განვითარების მაღალ დონესთან ქალ დეპუტატთა რაოდენობა დადებით კორელაციაშია. როდესაც
- საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი არის ქალი, რომელთა სამუშაო პირობები არის დისკრიმინაციული კაცებთან შედარებით, ან კიდევ ოჯახური ტვირთის გამო მათი უმეტესობა ვერ ახერხებს მუშაობას, როგორ შეიძლება იყოს სტაბილურად მზარდი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი. მაშინ როდესაც გენდერული ბალანსი არ არის დაცული ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, სადაც ხდება პოლიტიკის ფორმირება, რა თქმა უნდა სხვა სფეროებშიც ვერ იქნება ქალების საჭიროებები გათვალისწინებული, ვინაიდან მათი ხმა არ ისმის.

გრაფიკი:#1 ადასტურებს ამ დოკუმენტში აღნიშნული პრობლემის ხანგრძლივობასა და მის განგრძობადობას აწმყო დროში. მიუხედავად არაერთი საერთაშორისო კონვენციისა, პაქტისა თუ რეზოლუციასთან მიერთებისა ქვეყნის მხრიდან და რაც მთავარია ერთი შეხედვით ანტიდისკრიმინაციული კონსტიტუციისა ქალების წარმომადგენლობა პარლამენტში კვლავ პრობლემად რჩება. აქედან გამომდინარე ამ პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების მიზანია გენდერული თანასწორობის მიღწევა საქართველოს პარლამენტში, ამისთვის კი ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქალ დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში.

**გრაფიკი#1**

**ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში (1999 წლიდან დღემდე)**

წყარო: Inter-Parliamentary Union (IPU)



## გენდერული კვოტირების მექანიზმი

საქართველო ფაქტობრივად დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან იბრძვის გახდეს ევროკავშირის სრულფასოვანი წევრი ქვეყანა, ამ მიზნის მისაღწევად კი ვალდებულია გაატაროს მთელი რიგი რეფორმები, რათა დაუახლოვდეს აღნიშნული გაერთიანების მიერ შემოთავაზებულ სტანდარტებს. ამ მოთხოვნებში დიდ ადგილს იკავებს გენდერული თანასწორობის დაცვის საკითხი, რომელსაც არაერთი საერთაშორისო რეზოლუცია თუ ორგანიზაცია ავალდებულებს წევრ და ხელისმომწერ ქვეყნებს. ერთ-ერთს წარმოადგენს ევროპის საბჭო, რომელსაც სოაქართველო შეუერთდა 1999 წლის 27 აპრილს.<sup>23</sup> ამ ორგანიზაციის 2003 წლის რეკომენდაციით ქვეყნები ვალდებული არიან გენდერული უთანასწორობასთან გამკლავებისთვის ქალებსა და კაცებს შეექმნას თანაბარი პირობები, რათა ორივე სქესს ჰქონდეს წვდომა პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ შესაძლებლობებზე.

საერთაშორისო რეზოლუციების გაზიარებითა და ორგანიზაციებთან მიერთებით საქართველო ნამდვილად გამოირჩევა, მათი სიმრავლე ამის ერთ-ერთი ინდიკატორია, მაგრამ გამოცდილებამ აჩვენა, რომ გენდერული თანასწორობის მისაღწევად პარლამენტში მხოლოდ ეს არ არის საკმარისი და ეს მეთოდი არ გამოირჩევა სწრაფი იმპლემენტაციის შესაძლებლობით. საერთაშორისო პრაქტიკამაც აჩვენა, რომ ბუნებრივი გზით ქალთა თანაბარი პოლიტიკური გაძლიერება ძნელად მისაღწევია. აღნიშნული დილემის წინაშე მდგარმა მსოფლიომ აღიარა, რომ საჭირო იყო სპეციალური ჩარევის მექანიზმების შემოღება, რის შედეგადაც გატარებულ იქნა ე.წ. სავალდებულო კვოტის პრაქტიკა. დადგენილია, რომ არსებობს სამი სახის კვოტირების მექანიზმი: ნებაყოფლობითი (პარტიული) კვოტა- სიებში გენდერული ბალანსის დაცვა პარტიის ნებაზეა დამოკიდებული; საკანონმდებლო, იგივე სავალდებულო კვოტა- ამ შემთხვევაში კონსტიტუცია, ან კიდევ კანონი პარტიებს ავალდებულებს საარჩევნო სიის შედგენისას მკაცრად დაცული იყოს გენდერული თანასწორობის პრინციპი; რეზერვირებული ადგილების კვოტა- ეს მეთოდი აპრობირებულია აფრიკისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნებში. ამ შემთხვევაში საპარლამენტო მანდატების ზოგიერთი ადგილი დარეზერვირებულია ქალებისთვის და მისი ეჭვის ქვეშ დაყენება შეუძლებელია.


საყურადღებოა ის ფაქტი, რომ პარლამენტში გენდერული ბალანსის დაცვის მიზნით საქართველოში 2020 წლის 2 ივლისის საარჩევნო რეფორმის, კოდექსის 203-ე მუხლის შედეგად შემოღებულ იქნა სავალდებულო გენდერული კვოტის მექანიზმი. ამ გადაწყვეტილებას თან ახლდა მრავალწლიანი ბრძოლა საზოგადოების მხრიდან, რომელიც ჯერ კიდევ 2002 წლიდან იწყება. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წელს 37 455 ამომრჩევლის მიერ იქნა წარმოდგენილი საქართველოს პარლამენტში კანონპროექტი, რომელიც გულისხმობდა სქესთა 50 %-იან გენდერული ბალანსის დაცვას პროპორციულ სიებში, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ამ ინიციატივის გატარება ვერ მოხერხდა, მაგრამ 3 წელიწადში მრავალწლიანმა ბრძოლამ შედეგი მაინც გამოიღო. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გენდერული კვოტირების დანერგვამ გაამართლა, რისი ინდიკატორიც არის გაუმჯობესებული ქალთა პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს პარლამენტში, კერძოდ თუ 2016 წლისთვის საკანონმდებლო ორგანოში ქალ დეპუტატთა რაოდენობა 24 (16%) იყო, ეს ციფრი 2019 წლისთვის 3%-ით გაიზარდა და შეადგინა 19.1%.<sup>25</sup> მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს მაჩვენებელი მაინც ნაკლებია ქალ დეპუტატთა გლობალური (27 %) და რეგიონალური (31%) საშუალო მაჩვენებლის.<sup>24</sup>

სავალდებულო გენდერული კვოტის მექანიზმი დროებით ბერკეტად განისაზღვრა და მოქმედებდა 2032 წლამდე შემდეგი ფორმულირებით: 2020 და 2024 წლების საპარლამენტო არჩევნებში ცესკოსთვის წარდგენილ პარტიულ სიებში ყოველი მეოთხე პირი უნდა ყოფილიყო განსხვავებული სქესის, ხოლო 2028 წლის სიაში ყოველი მესამე. აღნიშნული წესის დარღვევა იწვევდა ხარვეზის დადგენას და პარტიებს ჰქონდათ გამოსწორების შესაძლებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში პარტია მოიხსნებოდა რეგისტრაციიდან. გრაფიკი#2 აღნიშნავს სავალდებულო გენდერული კვოტის მექანიზმის დინამიკას 2032 წლამდე, თუ როგორ შედეგს მიიღებდა პარლამენტი აღნიშნული ბერკეტის სრულად ამოქმედების შემთხვევაში.

გრაფიკი#2<sup>26</sup>

პერიოდი	არჩევნების სახე	პროპოციული წესით არჩეული წევრების რაოდენობა	გენდერული კვოტირების %	გენდერული კვოტირების % პარლამენტში ქალთა რაოდენობა
2020 წელი	საპარლამენტო	120	25%	30
2024-2028 წლები	საპარლამენტო	150	25%	37
2028- 2032 წლები	საპარლამენტო	150	33.3%	50

გრაფიკი#3 ქალ დეპუტატთა რაოდენობა საქართველოს პარლამენტში<sup>26</sup>



აღნიშნულ დიაგრამაზე მოცემული ინფორმაცია იმედის მომცემია, თუ არ ჩავთვლით 2008 წლის შედეგებს (6%) ქალთა წარმომადგენლობა პარლამენტში არჩევნებიდან არჩევნებამდე იზრდება, მაგრამ საურაღლებოა ის ფაქტიც, რომ ე.წ „კრიტიკული მასის“ თეორიის თანახმად იმისათვის, რომ პოლიტიკურ პროცესებში ქალებს სათანადო გავლენა ჰქონდეს გაეროს კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით საჭიროა პარლამენტში ქალების მინიმუმ 30-35 %-მდე წარმომადგენლობა. გარდა ამისა საქართველო ვალდებულია ასოცირების შეთანხმების 349-ე მუხლით უზრუნველყოს გენდერული ბალანსის დაცვა და ყველანაერი დისკრიმინაციული მდგომარეობის აღმოფხვრა ქვეყანაში.

გენდერული კვოტირების მექანიზმის მიზანი ქალებისა და კაცების შესაძლებლობების გათანაბრებაა, განსაკუთრებით გადაწყვეტილებების მიმღებ პოზიციებზე. ეს ინსტრუმენტი ეხმარება ქალებს, რომლებიც ისტორიულად სხვადასხვა ბარიერის წინაშე დგანან, როგორცაა სექსისტური და პატრიარქალური დამოკიდებულება, უფრო მეტად ჩაერთონ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებში. კვოტირების შემოღება ხაზს უსვამს იმას, რომ პოლიტიკა ღიაა ქალებისთვისაც. მიუხედავად კრიტიკისა, რომ კვოტირება უფრო სქესზე აქცენტს აკეთებს და არა პროფესიონალიზმზე, მისი მიზანი არის ქალთა მიმართ არსებული დისკრიმინაციის აღმოფხვრა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში პოლიტიკურ კულტურას შეცვლის.<sup>26</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მექანიზმი დროებითად დაინერგა და მისი ვადა 2032 წლამდე განისაზღვრა, მისი გაუქმება დროზე ადრე მაინც მოხდა. კერძოდ 2024 წლის 1 აპრილს პარტია „გირჩმა“ ბიუროზე წარადგინა სავალდებულო გენდერული კვოტირების გაუქმების შესახებ კანონი, რომელსაც მხარი პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დაუჭირა და შედეგად 85 დეპუტატის გადაწყვეტილებით 22 -ის წინააღმდეგ აღნიშნული ინიციატივა პარლამენტში ძალაში შევიდა.<sup>27</sup> მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტმა ვეტო დაადო.<sup>28</sup>

ვენეციის კომისიის 25 ივნისის შეფასებით საარჩევნო კოდექსში გენდერული კვოტის გაუქმების შესახებ მსგავსი ცვლილებები არ არის სასურველი არჩევნებამდე, რომელიც საფრთხეს უქმნის სტაბილურობას, მითუმეტეს როდესაც კვოტების გაუქმება მოხდა იმგვარად, რომ სხვა ტიპის საპრევენციო ზომები არ იქნა დანერგილი მთავრობის მიერ, რომელიც ხელს შეუწყობდა ქალებისთვის თანაბარი საარჩევნო გარემოს შექმნას მათ ასარჩევად. აქედან გამომდინარე ვენეციის კომისიის რეკომენდაციით ქალთა წარმომადგენლობის გასაუმჯობესებლად საჭიროა სხვა სპეციალური ღონისძიებები მიღება. გარდა ამისა კომისიის თქმით აღნიშნული ფაქტი მოხდა საჯარო კონსულტაციების გარეშე და ეს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ადებლ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს ქალთა მიმართ ყველანაერი დისკრიმინაციის აღმოფხვრას.<sup>29</sup>

სხვადასხვა პარტიის ქალი პოლიტიკოსი ლიდერების შეფასებები ასევე უარყოფითია კვოტირების გაუქმებასთან დაკავშირებით. მაგალითად პარტია „ანა დოლიძე ხალხისთვის“ თავმჯდომარე ანა დოლიძეს თქმით კვოტირების მექანიზმის დანერგვა იმ შემთხვევაში არ იქნებოდა აუცილებელი, თუ მმართველი გუნდის პოლიტიკა რეალურად იქნებოდა მორგებული ქალი ამომრჩევლის საჭიროებებს და დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნილებებს. ქალი ამომრჩეველი, რომელთა რაოდენობა 50 პროცენტზე მეტია ქვეყანაში, სამწუხაროდ საკუთარ თავს ვერ ხედავს ვერცერთ წამყვან პოზიციებზე პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ანა დოლიძის თქმით მის პარტიაში კვოტირების გარეშეც ისედაც ბევრი ქალია გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, განსხვავებით „ქართული ოცნებისგან“. მმართველი გუნდისთვის რომ ქალები საინტერესო არ არიან ეს ნათლად გამოჩნდა კვოტირების გაუქმების შემდეგ ე.წ დელეგატების სიის წარდგენით, სადაც 22 დელეგატიდან არცერთი არ არის ქალი. აქედან გამომდინარე ქალთა გაძლიერების კუთხით გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე კვოტირების მექანიზმი იყო პრაქტიკული ბერკეტი მეტი თანასწორობისთვის და დემოკრატიისთვის ქვეყანაში.

სავალდებულო კვოტირებას დიდხნისანი გამოცდილება აქვს ევროპის განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად ბელგიაში 50 %იანი კვოტა ჯერ კიდევ 2002 წლიდან მოქმედებს, ხოლო საფრანგეთის ეროვნულ ასამბლეაში კი 2000 წლიდან. 30 კვოტის მექანიზმის ირგვლივ ხშირად არის კამათი მის ავკარგიანობაზე, აღნიშნული ბერკეტი ხშირად ხელოვნურ ჩარევად მიიჩნევა კანდიდატების შერჩევის პროცესში. რა თქმა უნდა ეს არ არის ბუნებრივი პროცესის შედეგი, მაგრამ ეს არის დროებითი რეგულაცია, რომელიც აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ გენდერული ბალანსი არ არის დაცული და ვერ მიიღწევა ბუნებრივი გზებით.

კრიტიკოსები აგრეთვე ამტკიცებენ, რომ კვოტები არღვევს თანასწორობის პრინციპს და უპირატესობას ანიჭებს ქალებს, რაც დისკრიმინაციულად მიიჩნევა. თუმცა, კვოტები წარმოადგენს კომპენსაციის საშუალებას, რომელიც საჭიროა ქალების წინაშე არსებულ რეალურ ბარიერებთან საბრძოლველად, იქნება ეს სოციალური, პარტიული თუ ფინანსური პრობლემები. კვლევებით დასტურდა, რომ ქალთა რაოდენობის ზრდა პოლიტიკაში ზრდის ქალთა ინტერესების დაცულობის ხარისხს.

აგრეთვე გავრცელებულია აზრი, რომ კვოტები ამცირებს პოლიტიკოსების კვალიფიკაციას, თითქოს ნაკლებად კომპეტენტური ქალები ცვლიან უფრო კვალიფიციურ კაცებს. ეს არგუმენტი სადავოა, რადგან ქალების კომპეტენციის ეჭვქვეშ დაყენება პატრიარქალური კულტურის შედეგია და არაობიექტურია. უფრო მეტიც, არჩევნებისას მხოლოდ კვალიფიკაცია არ არის გადამწყვეტი; უმნიშვნელოვანესია წარმომადგენლობა და ხალხის ინტერესების დაცვა.<sup>31</sup>

## საპარლამენტო სიები კვოტირების გარეშე

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიებმა 26 სექტემბერს წარადგინეს საბოლოო სიები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. სავალდებულო გენდერული კვოტირების გაუქმების შემდეგ ეს იქნება პირველი არჩევნები, სადაც აღნიშნული მექანიზმის დანერგვა ვერ მოხდა. მეტი თვალსაჩინოებისთვის სხვადასხვა პარტიის საარჩევნო სიების პირველ ოცეულში ქალთა რაოდენობა შემდეგნაირად განისაზღვრა:

1. „ქართული ოცნება“- 5 ქალი
2. „ძლიერი საქართველო“- 9 ქალი
3. „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“- 6 ქალი
4. „კოალიცია ცვლილებებისთვის“- 8 ქალი
5. „გახარია-საქართველოსთვის“- 6 ქალი
6. „ლეიბორისტული პარტია“- 5 ქალი
7. „გირჩი“- 2 ქალი<sup>34</sup>

ზემოაღნიშნული ინფორმაციიდან გამომდინარე ერთი შეხედვით ყველაფერი წესრიგშია, რადგან პარტია „გირჩის“ გარდა თითოეულ პოლიტიკურ სუბიექტში დაცულია ის მექანიზმი, რაც კვოტირებას ჰქონდა გაუქმებამდე. მაგრამ სტატისტიკა სხვა მონაცემებს აზსტებს დამატებით, კერძოდ მმართველი პარტიის „ქართული ოცნების“ 2020 წლის პროპორციულ სიებში პირველ 60 კანდიდატში კვოტირების მექანიზმით ქალთა რაოდენობა იყო 15, ხოლო 2024 წლის საპარლამენტო სიებში პირველი სამოცეულში ეს ციფრი 8-მდე შემცირდა (25 %-იდან 13.3 % გახდა). ნაკლები მაჩვენებლები დაფიქსირდა „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო სიის 40-ეულშიც, სადაც 7 ქალია, 33 რაც 2020 წლის მონაცემებთან შედარებით 3 ქალით ნაკლებია. თუმცა საერთო ჯამში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვა პოლიტიკურმა პარტიებმა, მიუხედავად სავალდებულო გენდერული კვოტირების გაუქმებისა, მკვეთრად არ შეამცირა ქალთა რაოდენობა თავიანთ პარტიულ სიებში.

## დასკვნა

სავალდებულო გენდერული კვოტირების სიტემის შემოღებამ გაზარდა საქართველოს პარლამენტში ქალთა რაოდენობა, რაც ადასტურებს ამ მექანიზმის დადებით გავლენას გენდერული ბალანსის დაცვაზე. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მხოლოდ ერთი არჩევნების შედეგი ვერ შეაფასებს კვოტირების ეფექტს გრძელვადიან პერსპექტივაში, ამიტომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნები იქნება ერთ-ერთი ინდიკატორი ამ მექანიზმის აკარგიანობის გასაზომად. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პარტიების წარმოდგენილ სიებში წარმოდგენილი არიან ქალები, საბოლოო შედეგი სახეზე იქნება 27 ოქტომბერს თუ რამდენი ქალი პარლამენტარი შევა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში.

1. "პემინიზმი და ქალის უფლებები: მოძრაობა ნაპირიდან ცენტრისაკენ." Feminism and Women's Rights: From Margins to the Center, May 8, 2014. <https://feminism-boell.org/ka/2014/05/08/peminizmi-da-kalis-uplebebi-mozraoba-napiridan-centrisaken>.
2. Parliament of Georgia. n.d. <https://www.parliament.ge>.
3. "The Organic Law of Georgia on Gender Equality." Georgian Law. Article 11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>.
4. Georgian Young Lawyers' Association (GYLA). "ქალები ქართულ პოლიტიკაში" [Women in Georgian Politics]. 2008. <https://gyla.ge/files/news/2008/ქალები%20ქართულ%20პოლიტიკაში.pdf>.
5. Geostat. "საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა — 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით" [Population of Georgia as of January 1, 2024]. 2024. <https://www.geostat.ge/media/61878/საქართველოს-მოსახლეობის-რიცხოვნობა---2024-წლის-1-იანვრის-მდგომარეობით.pdf>.
6. Inter-Parliamentary Union (IPU). "Women in National Parliaments: Ranking." June 2024. [https://data.ipu.org/women-ranking/?date\\_year=2024&date\\_month=06](https://data.ipu.org/women-ranking/?date_year=2024&date_month=06).
7. Social Justice Center. "ქალები და პოლიტიკური წარმომადგენლობა" [Women and Political Representation]. n.d. [https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/ქალები\\_და\\_პოლიტიკური\\_წარმომადგენლობა.pdf](https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/ქალები_და_პოლიტიკური_წარმომადგენლობა.pdf).
8. World Economic Forum. "Women in Government: Representation." November 2023. <https://www.weforum.org/agenda/2023/11/women-government-representation/>.
9. UN Women. CSO Capacity Assessment Report. April 2024. [https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-04/cso\\_capacity\\_assessment\\_repot\\_geo.pdf](https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-04/cso_capacity_assessment_repot_geo.pdf).
10. Center for Law and Social Justice. "დაკაბადონებული ახალბეების პროგრესი" [The Progress of New Developments]. n.d. [http://cela.ge/ge/system/files/dakabadonebuli\\_axali\\_0.pdf](http://cela.ge/ge/system/files/dakabadonebuli_axali_0.pdf).
11. United Nations Development Programme (UNDP). Gender Survey Report. 2020. [https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP\\_GE\\_DG\\_gender-survey\\_report\\_2020\\_geo.pdf](https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_gender-survey_report_2020_geo.pdf).
12. Radio Free Europe/Radio Liberty. "პოლიტიკოსების იარაღი ქალი მტრების დასამარცხებლად" [Female Politicians as Weapons to Defeat Enemies]. September 24, 2023. <https://www.radiotavisupleba.ge/a/პოლიტიკოსების-იარაღი-ქალი-მტრების-დასამარცხებლად/32603431.html>.
13. Radio Free Europe/Radio Liberty. n.d. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31181730.html>.
14. United Nations Development Programme (UNDP). Sexist Language Indicators. n.d. [https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp\\_ge\\_dg\\_sexist\\_language\\_indicators\\_sapari\\_geo.pdf](https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_dg_sexist_language_indicators_sapari_geo.pdf).
15. United Nations Development Programme (UNDP). Gender Survey Report. 2020. [https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP\\_GE\\_DG\\_gender-survey\\_report\\_2020\\_geo.pdf](https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_gender-survey_report_2020_geo.pdf).
16. Organization for Security and Co-operation in Europe (OSCE). "Gender Equality and Political Representation." n.d. <https://www.osce.org/files/f/documents/f/7/534603.pdf>.
17. European Neighbourhood Programme. "Gender Help Desk Report: EU4Gender Programme." February 2024. [https://euneighbourseast.eu/wp-content/uploads/2024/02/gmbrief\\_eu4genderhelpdesk\\_v4\\_georgia.pdf](https://euneighbourseast.eu/wp-content/uploads/2024/02/gmbrief_eu4genderhelpdesk_v4_georgia.pdf).
18. United Nations Development Programme (UNDP). "Gender Equality in the Georgian Parliament." Part 1. 2021. [https://file:///C:/Users/Admin%20X/Downloads/undp\\_ge\\_dg\\_parliament\\_gender-equality-in-georgia\\_2021\\_part-1\\_geo%20\(3\).pdf](https://file:///C:/Users/Admin%20X/Downloads/undp_ge_dg_parliament_gender-equality-in-georgia_2021_part-1_geo%20(3).pdf).
19. Transparency International Georgia. "Gender Equality Council Report." n.d. <https://transparency.ge/ge/post/genderulitanascorobis-sabchos-sakmianobis-shepaseba-2>.
20. Georgian Young Lawyers' Association (GYLA). "ქალები ქართულ პოლიტიკაში" [Women in Georgian Politics]. 2008. <https://gyla.ge/files/news/2008/ქალები%20ქართულ%20პოლიტიკაში.pdf>.
21. "The Law of Georgia on Gender Equality." Georgian Law. n.d. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91624?publication=10>.
22. United Nations Development Programme (UNDP). "Gender Equality in the Georgian Parliament." Part 1. n.d. [https://file:///C:/Users/Admin%20X/Downloads/undp\\_ge\\_dg\\_parliament\\_gender-equality-in-georgia\\_2021\\_part-1\\_geo%20\(3\).pdf](https://file:///C:/Users/Admin%20X/Downloads/undp_ge_dg_parliament_gender-equality-in-georgia_2021_part-1_geo%20(3).pdf).
23. Sense STEAM. "Women in STEM: A Georgian Perspective." n.d. <https://sense-steam.eu/women-in-stem-a-georgian-perspective/#:~:text=Women%20are%20underrepresented%20in%20STEM,37.2%20percent%20in%20the%20country>.
24. Council of Europe. "About the Council of Europe." n.d. <https://www.coe.int/ka/web/tbilisi/the-coe/about-coe/history>.
25. UN Women. Gender Equality Program Report. April 2024. [https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-04/cgep\\_geo\\_web\\_1.pdf](https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-04/cgep_geo_web_1.pdf).
26. United Nations Development Programme (UNDP). Gender Quotas in Georgia. 2022. <https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/2022-12/undp-georgia-gender-quotas-2022-geo.pdf>.



27. International Society for Fair Elections and Democracy (ISFED). "Why Gender Quotas are Necessary." n.d. <https://www.isfed.ge/geo/politikis-dokumentebi/ratom-aris-sachiro-genderuli-kvotebi>.
28. Netgazeti. "President of Georgia on Gender Quota Law." n.d. <https://netgazeti.ge/life/716432/>.
29. Tabula. "President's Veto on Gender Quota Legislation." n.d. <https://tabula.ge/ge/news/717068-prezidentma-genderuli-kvotirebis-gaukmebis-kanons>
30. Civil.ge. "Gender Equality and Political Participation in Georgia." n.d. <https://civil.ge/ka/archives/614052>.
31. Georgian Young Lawyers' Association (GYLA). The Case for Gender Quotas in Georgia. n.d. <https://gyla.ge/files/kvota.pdf>.
32. "Women in Politics: Quotas or Not?" Friedrich-Ebert-Stiftung. February 4, 2015. <https://ge.boell.org/ka/2015/02/04/kalebi-politikashi-kvotebit-tu-mis-gareshe>.
33. Social Justice Center. "ქალების და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა საარჩევნო სუბიექტების სიებში კვლავ დისპროპორციულად მცირეა" [Representation of Women and Ethnic Minorities in Electoral Lists Remains Disproportionately Low]. Social Justice Center, n.d. <https://socialjustice.org.ge/ka/products/kalebis-da-etnikuri-umtsiresobebis-tsarmomadgenloba-saarchevno-subiektebis-siebshi-kvlav-disproportsiulad-mtsirea>.
34. Tabula. "18 Parties You Will Find on the Ballot." Tabula, October 13, 2024. <https://tabula.ge/en/news/724038-18-partia-romelits-biuletenshi-dagkhvdebat-mati>.